გრძივი ანკერებისათვის (იხ. ნახაზი 3/1) ოთხი არმატურის ღერო უნდა იქნას ჩატანებული თითოეული ფილის გასწვრივ მთელ სიგრძეზე. არმატურის ღეროები გრძივი ნაკერის მოწყობის ადგილზე ჩატანებული უნდა იქნას ახალ ბეტონში ისე, რომ მათ დაიკავონ გზის ზედაპირის ქვეშ სამოსის სისქის ორი მესამედი.

2.1.5.3. არმირება

ბეტონის არმირება გამოიყენება მხოლოდ მიღებზე, მიწიქვეშა გადასასვლელებსა და სამოსში არსებული ობიექტების ირგვლივ. დეტალებისათვის ინფორმაცია იხ. ნახაზზე და ნაწილში 2.11. ცხრილი 16.

2.2. ბეტონის ნარევის მომზადება

2.2.1. ბეტონის კლასი

ბეტონი უნდა იყოს საცდელი ბეტონის ამოსავალი ტიპი (იხ. ნაწილი 2.11. ცხრ. 13 და 14) ONORMB4710-1 შესაბამისად.

2.2.2. შემადგენელი პროპორციების განსაზღვრა

2.2.2.1. მასალები

ავტომატურად შემრევი დანადგარი უნდა იქნას გამოყენებული, ცემენტისა და მინერალური შემავსებლის სასწორი ადვილად შესამოწმებული უნდა იყოს.

2.2.3. შერევის დრო

იმის შემდეგ, რაც ყველა შემადგენელი მასალა დაემატება ერთმანეთს, შერევის დრო შერჩეული უნდა იქნას ისე, რომ ჰაერის ფორები თანაბრად იქნას განაწილებული მთელ ბეტონში. ეს ნაჩვენები უნდა იქნას გამაგრებული ბეტონის საცდელ ნიმუშზე. სტანდარტული შერევის დროს სიდიდეები იხ. ნაწილი 2.11. ცხრილი 13

2.2.4. პირდაპირი საკომუნიკაციო ხაზი

დასაგებ ადგილსა და შერევის დანადგარს შორის პირდაპირი საკომუნიკაციო ხაზი გარანტირებული უნდა იყოს.

2.3. სამოსის მოწყობა

2.3.1. საერთო ნაწილი

ბეტონის ნარევი ტრანსპორტირებული, გადაადგილებული და დაგებული უნდა იყოს ONORM 4710-1-ს მოთხოვნების მიხედვით. ბეტონის ნარევის ხარისხი არ უნდა იქნას შეცვლილი ტრანსპორტირებისას. საჭიროების შემთხვევაში ამინდის პირობებზე დამოკიდებულებით ბეტონის ნარევი უნდა გადაიხუროს. მანქანების დატვირთვა-ზიდვის ადგილები ისეთი უნდა იყოს, რომ ნელ ბეტონს არ ჰქონდეს შეხება ალუმინიან ზედაპირთან. ძლიერი წვიმების შემთხვევაში, ბეტონის სამუშაოები, რაც შეიძლება სწრაფად უნდა დასრულდეს. დამატებით ხსნარი ან წყალი არ უნდა იქნას გამოყენებული საფარის დასრულებისას. საფარებისათვის (გარდა ხმაურის შემამცირებელი თვისებების მქონე საფარებისა) გრძივი სტრუქტურა უნდა იქნას წარმოებული ახლად დაგებული ბეტონის ზედაპირზე ჯაგრისებით, უხეში ქსოვილიანი უთოთი ან ნებისმიერი მსგავსი მეთოდით. უხეში ქსოვილიანი უთო უნდა იწონიდეს არანაკლებ 300გ/მ² და ფარავდეს მთლიან დასაგებ სივანეს (საკონტაქტო ფართობი უთოსთვის უნდა იყოს არანაკლებ 2 გრძ.მ. და იძლეოდეს სწორი ზედაპირის გარანტიას) უხეში ქსოვილი უნდა იყოს შენახული დატენიანებული, ან უნდა შეიცვალოს და ან რეგულარულად გაირეცხოს. თუკი სამოსის ერთი ზოლი მოწყობილია მეორე ზოლის წინ, მაშინ ეს ზოლი დაცული უნდა იყოს დაზიანებისაგან, სანამ მიმდინარეობს მეორე ზოლის მოწყობა. სამოსის უწყვეტად მოწყობა გარანტირებული უნდა იყოს საკმარისი რაოდენობის და კარგად გამართული მოწყობილობებით, სატრანსპორტო საშუალებებით და ქარხანა-დანადგარებით. ბეტონის ნარევი უნდა დაიგოს ან განაწილდეს ერთგვაროვანი სისქის ფენით და ოპტიმალურად უნდა დაიტკეპნოს. საფარის მთლიანი საფარის მოწყობა ბეტონის სამუშაოების ერთიანად წარმოებით უმჯობესია, ვიდრე ცალკეული მშენებლობები სხვადასხვა მიმდებარე ზოლებზე.

2.3.2. მოსამზადებელი ღონისძიებები

2.3.2.1. ბეტონის სამოსის საფუძვლის ფენის შემოწმება

საფუძვლის ფენა, რომელიც დიდიხნის მოწყობილია ან არ არის მოწყობილი, ბეტონის სამოსის მოწყობამდე, უნდა შემოწმდეს მზიდუნარიანობაზე (მაგ. უნდა იქნას შემოწმებული ბადისებრი ბზარების არსებობა და მოხდეს გაზომვები ჩაზნექვებზე) სიმაღლის სწორ ნიშნულებზე და საიმედო წყლის მოცილებაზე. ეს შემოწმება დასრულებული უნდა იქნას საკმაოდ ადრეულ ეტაპზე, რათა ნებისმიერი საჭირო შემასწორებელი ღონისძიება გათვალისწინებული იქნეს.

2.3.2.2. საფარის ზედაპირის საჭირო სიმაღლის შეცვლა

იქ, სადაც ბეტონის სამოსის საფუძვლის ფენის დასაშვები გადახრების გამო წარმოიქმნება დაუშვებელი გადახრა საფარის ზედაპირის საჭირო სიმაღლესთან მიმართებაში და შედეგად მიიღება ფენის დადგენილ მინიმალურ სისქეზე ნაკლები სისქე, საფარის ზედაპირის საჭირო სისქე მიყენებული უნდა იქნას საფუძვლის ფენის ფაქტობრივ სიმაღლესთან, დაქვემდებარებული შესწორების მოქმედ პრინციპებზე.

2.3.2.3. საფუძვლის ფენის შესწორება

საფუძვლის ფენა, რომელიც ძალზე მაღალია უნდა შესწორდეს. იქ, სადაც ეს შეუძლებელია ან ეკონომიურად მიუღებელია, საფუძვლის ფენა მთლიანად უნდა შეიცვალოს.

2.3.2.4. დამატებითი ბეტონის გამოყენება ბეტონის სამოსის მოწყობისას

თუკი ბეტონის საფარის საშუალო სიმაღლე 2სმ. დაბალია, ვიდრე საჭირო სიმაღლე, მაშინ უნდა დარეგულირდეს დამატებითი ბეტონით. დამატებითი ბეტონი დაგებულ უნდა იქნას საფარის მოწყობის ერთიანი ბეტონის სამუშაოებით დამატებითი სისქეებიანი მონაკვეთები, რომლებიც მოითხოვენ უფრო ღრმა ნაკერებს. მონიშნულ უნდა იქნან. ტემპერატურულ ჯდენადი ნაკერები მოჭრილი უნდა იქნან ნაწილი 2.11. ცხრილი 7-ის თანახმად.

2.3.2.5. საფუძვლის ფენის გაწმენდა

ბეტონის დასხმამდე, საფუძვლის ფენა კარგად უნდა გაიწმინდოს.

2.3.3. მანჭვალების და არმატურის ღეროების დამაგრება

მანჭვალებისა და არმატურის ღეროების ჩასალაგებლად გამოიყენება ჩამწყობი მექანიზმები. ასეთ შემთხვევაში, სწორად განლაგებული მანჭვალები და არმატურის ღეროები ვიბრირებული უნდა იქნან საბოლოო დატკეპნის წარმოებამდე. სადაც ფოლად-რკინაბეტონის საყრდენები გამოიყენება მანჭვალებისა დაარმატურის ღეროების დასამაგრებლად სამოსის ძხიდ ზედაპირთან მიმართებაში, ასეთი საყრდენები საკმარისად მყარი უნდა იყოს.

2.3.5.1. ბეტონის ნარევის შერჩევა

ბეტონის ნარევი ისეთი უნდა იყოს, რომ იგი იძლეოდეს ბეტონის ფილის კიდეების და გვერდითი ბორტების მდგრადობაზე გარანტიას, იმ შემთხვევაში, როდესაც ბეტონი ფორმირდება და ჯერ არ არის გამაგრებული, სრიალა ყალიბიანი ბეტონდამგები გადაუვლის, კერძოდ, ნარევი უნდა მომზადდეს ერთგვაროვნად, მისი კონსისტენცია და ქვიშის შემადგენლობა უნდა დარეგულირდეს მოთხოვნების შესაბამისად.

2.3.5.2. ბეტონის ნარევის დაგება

ბეტონის ნარევის საჭირო რაოდენობა დამგების წინ წინასწარ უნდა იყოს განაწილებული. სრიალა ყალიბიანი დამგები ისე უნდა მოძრაობდეს, რომ ბეტონის ნარევი განაწილდეს და დაიტკეპნოს თანაბრად. გზის ზედაპირის დამუშავება მისი გასწორების შემდეგ უნდა მოხდეს გრძივი უთოთი. თუ გამოიყენება ჩამწყობები მანჭვალებისა და არმატურის ღეროების ჩაწყობისათვის, ჩაწყობა უნდა მოხდეს მანამდე, სანამ სრიალა ყალიბის დამგები მუშაობს. ნებისმიერი ბეტონის ნარევი, რომელიც არ ჩერდება სრიალა ყალიბში, საჭიროების შემთხვევაში უნდა ამოტვრეული და გატანილი იქნას, მას შემდეგ რაც ის გამაგრდება (მაგ. სხვა ახალი წყლის დამატებამდე, ღრენაჟის სისტემის მოწყობამდე).

2.3.6. დაგება მყარი ყალიბით

2.3.6.1. გვერდითი ყალიბები

მყარი ყალიბით დაგებისათვის გამოიყენება ბეტონდამგები შემადგენლობა. ყველა გვერდითი ყალიბი, რომელიც კვალის საყრდენია დამზადებული უნდა იყოს ლითონის ფურცლისაგან მინიმალური სისქით 5მმ. გვერდითი ყალიბები, ისე უნდა იყოს დაყენებული, რომ როგორც ვერტიკალურად ასევე ჰორიზონტალურად გაუნძრეველ მდგომარეობაში იყოს. იმისათვის, რომ ყალიბების მყარ მდგომარეობაში ყოფნა სარწმუნო გახდეს, შემასწორებელი ხსნარი უნდა იქნას გამოყენებული საგებად. ეს საგები მჭიდროდ უნდა იქნას ჩადებული მთლიანი გვერდითი ყალიბის ქვეშ, მაშინაც კი თუ გვერდითი ყალიბები ჩადის ქვედა ფენის ბეტონში.

სანამ რაიმე დატვირთვა იქნება კვალზე, შემასწორებელი ხსნარი საკმარისად უნდა გამაგრდეს. გვერდითი ყალიბების მოხსნის შემდეგ შემასწორებელი ხსნარი, საჭიროებისამებრ უნდა მოიხსნას და გატანილ იქნას (ახალ სიგაენზე დაგების დაწყებამდე და სადრენაჟო სისტემის დამონტაჟებამდე). იმ შემთხვევაში, თუ კვლებია დადებული დასრულებულ მონაკვეთზე, ბეტონის ფილის ზედა მხარემ უნდა მიაღწიოს 28 დღიანი სიმტკიცეზე 70% ზღვარს.

2.3.6.2. ბეტონის ნარევის დაგება

საუკეთესო სისწორის მისაღწევად საუთოო დანადგარები უნდა იქნას გამოყენებული, მას შემდეგ რაც დაიგება ბეტონის ზედა ფენა. გამოყენებული იქნას ისეთო მოწყობილობა, რომელიც იძლევა ერგვაროვანი ბეტონის კონსტრუქციის მიღების გარანტიას საფარის ფილის ზედაპირამდე. ნებისმიერი უსწორმასწორობაში, რომელიც შეიძლება გაჩნდეს საფარის მოწყობის პროცესში, დაუყონებლივუნდა იქნას შესწორებული. შესაბამისი მონაკვეთები, რომელიც საჭიროებს შესწორებას, თავიდან უნდა იქნას გადამუშავებული მანქანით და კვლავ დაუთოვებული, მანამ სანამ ბეტონის დაიწყებს გამაგრებას.

2.3.7. ნაკერების მოწყობა და ჰერმეტიზაცია

ნაკერები ისე უნდა იქნას მოწყობილი, რომ საფარის გრძივი და განივი სისწორე შენარჩუნებული იქნეს და ბეტონი არსად არ დაზიანდეს, ნაკერების კიდეების ჩათვლით. თუ ნაკერების ზედა ღარები უნდა გაიხეხოს გამაგრებულ ბეტონში, ღარები არ შეიძლება იქნას გახეხილი მანამ, სანამ ბეტონი საკმარისად არ მაგრდება, რათა არ მოხდეს კიდეების განშრეგებები გახეხვის პროცესში. ნაკერები გახერხილი უნდა იქნას მანამ, სანამ ბზარები წარმოიქმნება. შესაფერისი დრო უნდა განისაღვროს გახეხვის ტესტების ჩატარებით. ნაკერებზე მასტიკის წაცხებამდე, რომ მასტიკა კარგად მოეცხოს და მიეკრას ზედა ღარის ბეტონის ზედაპირს. მიმწოდებლის სპეციფიკაცია გადასინჯული უნდა იქნას ბიტუმის მასტიკის დატანასთან დაკავშირებით. ნაკერების ზედა ღარი უნდა შეივსოს საფარის ზედაპირამდე. თბილ ამინდში, ბიტუმის მასტიკა ისე უნდა იქნეს დატანილი, რომ მთლიანად გაიშალოს ბეტონის ზედაპირის ღონეზე. ცივ ამინდში, ჰერმეტიკის ზედაპირი უნდა იყოს მსუბუქად ჩაზნექილი. ბეტონის რომბისებრი ან მრგვალი კიდეები გადაფარული უნდა იქნას. ზედმეტი მასტიკა, რომელიც გამოდის ნაკერების ღარიდან მოშორებული უნდა იქნას.

2.3.8. ბეტონის საფარის მოვლა და დაცვა

იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ნეღლი ბეტონის ძალზე სწრაფად გამოშრობა აფსკწარმოქმნელი ნარევი უნდა იქნას დატანილი. ეს ნარევი დასხურებული უნდა იქნას რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე. ნარევი დატანილი უნდა იყოს ბეტონის საფარის მთლიან ზედაპირზე. თუ საფარის მოსაწყობად სრიალა ფორმების დამგები გამოიყენება, ნარევი დაიტანება ბეტონის საფარის გვერდით ადგილებზეც, რათა გარანტირებული იყოს სრულყოფილი ფერადი აფსკი ბეტონის ახალ ზედაპირზე. დასხურების ნორმა გ/მ² უნდა შეესაბამებოდეს მიღებულ ტესტს. ასევე მისაღებია ბეტონის ზედაპირის გადახურვა პლასტიკატის ფურცლით, ნარევის მაგივრად. იქ სადაც მყარი ფორმებიანი ყალიბებია გამოიყენება შესაბამისი სიგრძის და სიგანის კარავი, რომელიც გვერდებსა და ბოლოებზე დახურულია და გადაფარავს ბეტონის ზედა ფენის გამომყვან მანქანას და საუთოო დანადგარს, გამოყენებული უნდა იქნას მზისა და წვიმისაგან დასაცავად. სადაც აფსკწარმოქმნელი ნარევი გამოიყენება, ასეთი დამცავი კარავი არ გამოიყენება. გამკვრივების პირობების გაუმჯობესების დანამატების სპეციფიკაციების შესახებ იხ. ნაწ. 2.11. ცხრ. 18, სადაც გამოიყენება კარავი, ფენები გადაღებული უნდა იყოს ერთმანეთთან ნებისმიერ ნაკერზე.

2.4. ბეტონის დაგება ცხელ და ცივ ამინდში

ჰაერის მინიმალური ტემპერატურა 24 საათის განმავლობაში და ბეტონის ნარევის მინიმალური ტემპერატურა დაგების დროს მოცემული უნდა იყოს მშენებლობის ყოველდღიურ პატაკში. ნაღდი ბეტონის ტემპერატურა 27⁰C-32⁰C შორის დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ საწყისი ტესტი (გამოყენების ხანგრძლივობა, სიმტკიცე და ჰაერის ფორების პარამეტრები) ჩატარებულია ნეღლი ბეტონის გამოყენებით და შენახვის ტემპერატურით (30±2)⁰C.

2.5. ტრანსპორტის მოძრაობის დაშვება საფარზე

ბეტონის საფარზე ტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია ბეტონის საფარის მოწყობის დასრულებიდან სამი დღის შემდეგ, როდესაც საშუალო დღიური ტემპერატურა 15⁰C ტრანსპორტის მოძრაობა დაიშვება 4 დღის შემდეგ. 10⁰C შემთხვევაში 8 დღის შემდეგ. მას შემდეგ რაც ჩამოთვლილი დღეების რაოდენობა გაივლის ყინულის გასაღლობი დანამატები დაიტანება.

2.6. სამშენებლო მასალების სპეციფიკაციები, ტესტები მშენებლობამდე და მშენებლობის პერიოდში

2.6.1. ძირითდი პრინციპები

თუკი რაიმე სხვა არ არის განსაზღვრული, ONORMB4710-1 წარმოადგენს კატეგორიულ ნორმას ბეტონის მომზადებისა და კონტროლისათვის. გამოყენებული სამშენებლო მასალების და წარმოებული პროდუქციის სპეციფიკაციები იხ. ნაწ. 2.11.

2.6.2. საცდელი ლაბორატორიები

ტესტები ჩატარებული უნდა იქნას შესაბამისად ლიცენზირებულ ლაბორატორიებში, ტესტის შედეგები აღნიშნული უნდა იყოს ტესტის ანგარიშებში.

2.6.3. საწყისი ტესტი

მოიჯარადე ვალდებულია საწყისი ტესტი ჩაატაროს. ამ ტესტის შედეგები წარდგენილი უნდა იყოს ზედამხედველთა ტესტის ანგარიშის სახით მშენებლობის დაწყებამდე. საწყისი ტესტის შედეგები და მოაიჯარადეს ინფორმაცია დამზადებლის ან მომწოდებლის შესახებ, ისევე როგორც სამშენებლო მასალების ტიპებისა და მისი წარმოშობის შესახებ წარმოადგენს კონტრაქტის განუყოფელ ნაწილს. თუკი საჭირო გახდება, რომ შეიცვალოს შეთანხმებები, უკეთესად დაგების პირობებისათვის, ასეთი ცვლილებები შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ ზედამხედველის მიერ დამტკიცებით. საჭიროების შემთხვევაში ახალი საწყისი ტესტი უნდა ჩატარდეს. საწყისი ტესტების დეტალების შესახებ იხ. ნაწ. 2.11. ცხრ. 23 და 24.

2.6.3.1. სამშენებლო მასალები

ბეტონის შემადგენელი მასალების სპეციფიკაციების მოცემულია ნაწ. 2.11. ცხრ. 12. სამშენებლო მასალების (ბეტონის შემადგენელი მასალები, სტრუქტურული ელმენტები, დანამატები) პროექტთან შესაბამისად გამოყენების მიზნით გადამოწმებული უნდა იქნას. თუკი აღექვატური ხელშეკრულება არის გაფორმებული საცდელ ლაბორატორიებთან (იხ. 2.6).

გამოსაყენებელი პროდუქციის ტიპისა და რაოდენობის შესახებ, არ არის საჭირო ინდივიდუალურად შემოწმდეს თითოეული პროდუქტი ვარგისიანობაზე. გაყინვაზე მედეგობა კლასი F₁ დადგენილი ONORMB 3303-2002 უნდა გადამოწმდეს 4მმ ნაკლები ზომის ღორღისათვის.

2.6.3.2. ღორღის ნაწილაკების ზომის განაწილება და დაზარისხება

ღორღის ნაწილაკების ზომა უნდა განისაზღვროს. ღორღის ნაწილაკების ზომა შერჩეული უნდა იქნას ბეტონის დაგების მეთოდის მიხედვით ისე, რომ ბეტონის ნარევი კარგად დაიგოს და მსხვილმარცვლოვანი მასალის კონსტრუქციაზე მოწყობილი საფარის ზედაპირზე წარმოიქმნას მხოლოდ ერთგვაროვნად თხელი ფენა.

2.6.3.3. ცემენტი

ცემენტი, რომელიც გამოიყენება საწყის ტესტში უნდა იყოს იმის ანალოგიური, რაც გამოიყენება შემდგომი მშენებლობისას. თუ, გამონაკლის შემთხვევებში, შემდგომ უნდა მოხდეს ცემენტის კლასის 42.5R ან 52.5 გამოყენება, არ არის საჭირო ჩატარდეს საწყისი ტესტები თუკი პირველი საწყისის ტესტი ჩატარებულია ცემენტის 42.5R კლასის გამოყენებით. ცემენტის იგივე სამუშაოებისათვის და თუკი ნარევის თანაფარდობა არ იცვლება. ჰაერის მატარებელი დანამატების და ნებისმიერი სხვა დანამატების დოზა უნდა დარეგულირდეს შესაბამისად.

2.6.3.4. ნედლი ბეტონი

სადაც ხდება მაყონებლის გამოყენება, ტესტები უნდა ჩატარდეს ნარევის ტემპერატურებზე 20⁰C და 30⁰C წინასწარ დაგეგმილი დოზის გამოყენებით და ასევე 30⁰C ამ ნარევის 1.3 ჯერ გამოყენებით.

2.6.3.5. ბეტონის სიმტკიცე და ჰაერის ფორების პარამეტრები

მაღალი დონის ბეტონის საფარის მოთხოვნებთან დაკავშირებით, ცხრ. 14 საწყისი ტესტი უნდა ჩატარდეს ბეტონის ზედა და ქვედა ფენებისათვის, შემდეგი თვისებები უნდა განისაზღვროს ONORMB 3303-2002 შესაბამისად.

- სიმტკიცის ხღვარი გახლეჩვა-გაჭიმვაზე ზომებით 12X12X36სმ 2 და 28 დღის შემდეგ.
- ჰაერის ფორების პარამეტრები. 2-28 დღის თანაფარდობა სიმტკიცეზე გამოთვლილი უნდა იქნას.

2.6.3.6. თხევადი გამამკვრივებელი დანამატები

შერჩეული დანამატი და მისი დასხურების ნორმა უნდა შეესაბამებოდეს ბეტონის დაგებისთანავე მის ზედაპირზე მოსხურებას, რაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს გადამოწმებით. დანამატები, რომელიც დატანილი უნდა იქნას ბეტონის ზედაპირზე, როცა ბეტონის ნახევრად მშრალია, შეიძლება იმ შემთხვევაში, როცა სამოსი ეწყობა გვირაბებში და მეორე შემთხვევაში გამამკვრივებელი აფსკი გაშიშვლებულია ღორღიანი ბეტონისათვის.

2.6.4. შესაბამისობის ტესტები

ტესტები შესაბამისობაზე ჩატარებული უნდა იქნას მოიჯარადის მიერ ან მოიჯარადის საცდელ ლაბორატორიაში (იხ. ნაწ. 2.6.2.) ამ ტესტების შედეგები უნდა იყოს ზედამხედველთან მისი მოთხოვნის შესაბამისად. შესაბამისობის ტესტების გადახედვისა და დეტალებისათვის (იხ. ნაწ. 2.11. ცხრ. 25 ONORMB 4710-1) ჰაერის ფორების პარამეტრების მტკიცებულება უზრუნველყოფილი უნდა იქნას ცხრ. 25 მიხედვით არანაკლე ერთხელ ყოველ საკონტაქტო ლოტისათვის.

2.6.4.1. ბეტონის სამოსის სისქე

ბეტონის ნარევის დაგებამდე, მოიჯარადემ და ზედამხედველმა უნდა აიღოს განივი კვეთები მთელი საფარის ფართობისათვის. განივი კვეთები, როგორც წესი, უნდა იყოს დაკავშირებული 5მ-დან 12 შორის ინტერვალებით. იქ, სადაც სისქე აღმოჩნდება მეტი ან ნაკლები, ღონისძიებები სიტუაციის გამოსასწორებლად, ნაწილი 2.6.2. მიხედვით და ზედამხედველის დამტკიცებით მიღებულ უნდა იქნას. ზედამხედველმა უნდა ჩაატაროს მეყსეული ნიმუშებით ტესტები საფარის სისქესთან დაკავშირებით ბეტონის დაგებამდე და მის შემდეგ.

2.6.4.2. ტესტის სერიები, ტიპი და სფერო

კონტრაქტის ლოტი დაყოფილი უნდა იქნას ტესტის სერიებად (იხ. ნაწ. 2.11. ცხრ.25) ტესტების შესაბამისობის მიზნით.

ა) მოტანილი ღორღის ნაწილაკების ზომის განაწილება
დადგენილი უნდა იქნას შემოზიდული ღორღის შესაბამისობა ONORMB 4710-1 სპეციფიკაციებთან. თუკი რაიმე ცვლილებები აღინიშნება საწყის ღორღში ან დამუშავებისას, ან რაიმე დეფიციტი შეიმჩნევა, ტესტები გამეორებული უნდა იქნას შესაბამისი სიხშირით.

ბ) ბეტონის ნარევი
ბეტონის ნარევის კონსისტენცია და წყლის შემცველობა (წყლისა და მასალის თანაფარდობის გასათვლელად) უნდა განისაზღვროს. ბეტონის ნარევის დაზარისხება განისაზღვრება ბეტონის ნარევის გაცრის ნიმუშებით. ეს ტესტები უნდა ჩატარდეს ადექვატური სიხშირით განსაკუთრებით სამოსის მოწყობის ადრეულ ეტაპზე, ან თუ სადმე რაიმე დეფიციტი აღინიშნება.

გ) ჰაერის შემცველობა
ბეტონში ჰაერის შემცველობა უნდა განისაზღვროს ბეტონის დასხმის ადგილზე ჰაერმზომის გამოყენებით. ამ ტესტის შედეგები და ნიმუშების აღების ადგილმდებარეობა ჩაწერილი უნდა იყოს. თუკი ტესტის შედეგები დადგენილი ჰაერის შემცველობისაგან განსხვავდება, ტესტები უნდა განმეორდეს საჭიროებისამებრ, ჰაერის მატარებელი დანამატი დაუყონებლივ უნდა მიემატოს ბეტონის ნარევს მოთხოვნების შესაბამისი ბეტონის შემცველობის მისაღებად. ყოველი მომდევნო მოწოდება უნდა შემოწმდეს მანამ, სანამ გათვალისწინებული ჰაერის შემცველობა არ დადგინდება ორჯერ. მას შემდეგ, რაც პირველი ფილების შესაბამისი გამკვრივება იქნება მიღწეული და გაჩნდება ეჭვი ჰაერის შემცველობის არასაკმარისობაზე, კერნები აღებული უნდა იქნას და ბეტონში ჰაერის ფორების პარამეტრების ტესტირება უნდა გაკეთდეს ცხრ. 14 მოთხოვნების შესაბამისობის მიზნით.

ჰაერის მატარებელი დანამატების საჭიროებისას, მეტი რაოდენობა უნდა დარეგულირდეს შესაბამისად. ტესტირების ადგილები უნდა შეირჩეს საფარის ზედაპირის მართი კუთხით. ჰაერის ფორების პარამეტრების განსაზღვრის ტესტები უნდა ჩატარდეს ONORMB 3303-2002.

დ) სიმტკიცე

პრიზმები უნდა გაკეთდეს (იხ. ნაწ. 2.6.3.) ზედამხედველის წარმომადგენელთან ერთად ზედა და ქვედა ფენის ბეტონიდან და გამოყენებული უნდა იქნას ბეტონის სიმტკიცის ზღვარის განსასაზღვრავად 2 და 28 დღის შემდეგ. შესაბამისობის ტესტი უნდა ჩატარდეს, იმის სარწმუნოდ, რომ შეესაბამება გახლეჩვაზე სიმტკიცის ზღვარის ტესტს. ფილის ადგილმდებარეობა, სადაც ტარდება ნიმუშის აღება ჩაწერილი უნდა იქნეს. 28-დღის სიდიდეები საჭიროების მიხედვით, გამოიყენება, რათა იზოლირებული იქნას ადგილები დეფიციტური სიმტკიცით. 2დღის სიმტკიცის სიდიდეები და 2:28 სიმტკიცის თანაფარდობა დადგენილი საწყისი ტესტის გამოყენება მოსალოდნელი 28 დღიანი სიმტკიცის სიდიდის გასათვლელად. თუკი ეს გამოთვლები გვიჩვენებს, რომ მოთხოვნილი 28 დღის სიდიდეები არ არის მიღწეული, ამ დეფიციტის მიზეზი უნდა დადგინდეს და საჭირო ღონისძიებები იქნას მიღებული.

ე) სისწორე

დასრულებული ბეტონის საფარის გრძივი და განივი სისწორე უნდა გამოიცადოს დაუყონებლივ მშენებლობის შემდეგ 4 მეტრიანი ლარჯით (როგორც კი ბეტონზე გავლა შეიძლება). რაიმე დეფექტის გამომწვევი მიზეზები უნდა აღმოიფხვრას. პარკინგის ბოლოს სარწყავი არხის სიახლოვეს ცემენტობეტონის საფუძვლისა და ქვესაგები ფენის გამორეცხვისაგან თავის დასაცავად გათვალისწინებულია ბეტონის კბილის მოწყობა ზომ 40X30სმ. საერთო სიგრძით 375.47.

შრომის დაცვა და უსაფრთხოების ტექნიკა

მშენებლობის წარმოებაში უსაფრთხო მეთოდების და სანიტარული ნორმების დაცვა სავალდებულოა. ტექნიკური უსაფრთხოების წესების ნორმებში (II-4-89) განხილულია ყველა ის საკითხი, რომელთა ცოდნა სავალდებულოა მშენებლობის პერსონალისათვის.

მშენებლობაზე შეიძლება დაშვებული იქნან ის პირები, რომელთაც ჩაუტარდებათ ტექნის უსაფრთხოების და სანიტარულ წესებზე სპეციალური ინსტრუქტაჟი. შემდგომში მუშა-მოსამსახურეებს განმეორებითი ინსტრუქტაჟი უტარდებათ ყოველ სამ თვეში. განმეორებით 3 თვეში, ან სამუშაოს ხასიითის, ან ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით.

მშენებლობის დაწყებამდე საჭიროა არსებული გზის მოწესრიგება, რათა უზრუნველყოთ თავისუფალ სამშენებლო ტრანსპორტის ობიექტზე მანევრირება.

მოძრაობისათვის სახიფათო ზონები საჭიროა დაიდგას სპეციალიზირებული გამაფრთხილებელი ნიშნები.

სამუშაო ადგილები უნდა იქნას უზრუნველყოფილი სამუშაოს წარმოებისათვის საჭირო უსაფრთხო ინვენტარით.

სამუშაოს დაწყების წინ მუშები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ დამცველი ჩაჩქანებით, სპეციალური ტანსაცმლით და ფეხსაცმლით.

მშენებლობის ყველა ქვეგანაყოფი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ პირველადი დახმარების მედიკამენტებით.

მუშებისათვის, რომელთა სამუშაო დაკავშირებულია ტექნიკურ მასალებთან, საჭიროა მუდმივი მედპერსონალის ზედამხედველობა.

ამწე მექანიზმების მუშაობა ტვირთის გადაადგილების დროს უნდა მოხდეს თანდათანობით, ბიძგების გარეშე.

ამწეების მოქმედების ზონაში ხალხის ყოფნა დაშვებული არ არის.

ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესების შესრულებას მშენებლობაზე უნდა დაეთმოს განსაკუთრებული ყურადღება..

ბუნების დაცვა

საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროცესში წარმოიქმნება რიგი ფაქტორები, რომლებიც წყლის მდგომარეობის ცვლილებას იწვევენ:

- წყლის ამღვრევა მიწის სამუშაოების წარმოებისას მდინარის კალაპოტში, ან გრუნტის ჩაყრა მდინარეში.

- წყლის აღება წყალსატევებიდან ტექნიკური, ან სხვა საჭიროებისათვის.

ძირითადად გათვალისწინებული უნდა იყოს ის ღონისძიებები, რომლებიც გამორიცხავენ სატრანსპორტო საშუალებათა, საპოხი ზეთებითა და სხვა ნავთობპროდუქტებით გაჭუჭყიანებული წყლების ჩაღინებას წყალსაცავებში.

სატრანსპორტო საშუალებათა საპოხი ზეთებითა და სხვა ნავთობ პროდუქტებით გაჭუჭყიანებული წყლები წყალსაცავში ჩაშვებამდე უნდა გაიწმინდოს ადგილობრივი საგამწმენდო მოწყობილობებში.

ტექნიკის ჩამონათვალი

ოპიმიქტის ღასასხმლშა: დაბა შეკვეთილში დენდროლოგიური პარკის მიმდებარე ავტოსადგომის მოწყობა (ვერტიკალური გეგმარება და მოძრაობის უსაფრთხოება)

№	დასახელება	განზ.	რაოდ-ბა	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	ავტოგრეიდერი საშ. 79 კვტ სიმძ.	ცალი	1	
2	ამწე ტვირთამწეობით 10ტ	„	1	
3	ავტოთვითმცლელი ტვირთამწეობით 10-15ტ	„	4	
4	ავტოგუდრონატორი	„	1	
5	ბეტონდამგები	„	1	
6	ბულდოზერი სიმძლავრით 79-96კვტ	„	1	
7	ბორტიანი მანქანა ტვირთამწეობით 7-10 ტ	„	2	
8	ბიტუმის ქვაბი	„	1	
9	ექსკავატორი V=1.0 მ ³	„	1	
10	ექსკავატორი ციცხვით V=0.5მ ³	„	1	
11	წყლის ტუმბო წარმადობით 60მ ³ /სთ	„	2	
12	დამტვირთავი	„	2	
13	ბეტონსარევი	„	1	
14	საგზაო ნიშნის ქვაბულისათვის d=200მმ-იანი საბურღი აპარატი	„	1	
15	საგზაო ნიშნის საგები მანქანა	„	1	

მასალების ამონაკრები


ოპიმიქტის ღასასხმლშა: დაბა შეკვეთილში დენდროლოგიური პარკის მიმდებარე ავტოსადგომის მოწყობა (ვერტიკალური გეგმარება და მოძრაობის უსაფრთხოება)

№	მასალების დასახელება	მასალის სპეციფიკაცია	განზომილება	რაოდენობა
1	2	3	4	5
1	გეოტექსტილი (TERRAM 2000)		მ ²	3426.57
2	მსხვილმარცვლოვანი ხრეშოვანი გრუნტი	ფრ. 0-125მმ.	მ ³	619.32
3	ქვიშა		მ ³	1688.27
4	ფრაქციული ღორღი	(0-40)მმ	მ ³	639.63
5	ქვიშა-ხრეშოვანი ნაერვი	(0-70)მმ	მ ³	1548.30
6	მონოლითური ბეტონი	B35	მ ³	456.38
7	არმატურის ბადე	Ø8მმ; 20X20სმ უჯრით	ტ	10.04
8	გლუვი მანჭვალი	Ø2მმ	ტ	1.89
9	არმატურის ღეროები	Ø18მმ	ტ	0.54
10	ოთხკუთხა საგზაო ნიშნები	(600X600)მმ	ც	13
11	მრგვალი საგზაო ნიშნები	d=600მმ	ც	14
12	სამკუთხა საგზაო ნიშნები	(700X700X700)მმ	ც	3
13	მართკუთხა საგზაო ნიშნები	(900X600)მმ	ც	3
14	ავტოსაგზაო ბარიერი	d=0.75მმ	მ	191
15	მონოლითური რკ/ბეტონის ბორდიურები (15X30)სმ	B20; F100	გრძ.მ	481
16	ლითონის ძელები		ტ	4.40
17	ნაკერები		გრძ.მ	822
18	შუქდიოდური სანათი		ც	4
19	მართკუთხა საგზაო ნიშნები	(600x300)	ც	9
20	ავტოსადგომის ბარიერის ღვარები	d=0.76მმ	მ	103

მშენებლობის კალენდარული გრაფიკი

№	ს ა მ უ შ ა ო თ ა ჩ ა მ ო ნ ა თ ვ ა ლ ი	მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ი ს წ ე ლ ი, თ ვ ე ე ბ ი დ ა დ ღ ე ე ბ ი					
		1			2		
		10	10	11	10	10	10
1	2		3		4		
1	თავი I. ტერიტორიის ათვისება და მოსამზადებელი სამუშაოები						
2	თავი II. მიწის ვაკისი						
3	თავი III. საბზაო სამოსი						
4	თავი VI. გზის კომპონენტები და მოწყობილობა						

N	დასახელება	ნახ. №	ფურც. №
	IV . ნახაზები		
1.	პერტიკალური გეგმარება (გეგმა)	1	1
2.	ავტოსადგომის სქემა	2	1
3.	საგზაო სამოსის. ტიპი I	3	1
4.	ბეტონის საფარის ნაკერების სქემა	4	1
5	განივვი კვეთი	5	4



პირველი აღწერა

საპროექტო ნაწილი

ბაზონი

ქანობი პროექტში 1%=10‰



მანძილი მ.

წითელი ნიშნული მ.

შავი ნიშნული მ.

წითელი კორექტორი (10 სმ)


დაგა შევქმნილში დინამიკური პარკის მიმდებარე ავტოსადგომის პროექტი	შემსრულებელი: შპს „ავტოგზპროექტი“	შენიშვნები			
		შენიშვნები			
		მასშტაბი 1:500	ფურცლის ზომა A-3	ნახ. №1	ფურც. №1



- არმირებული ცემენტბეტონი B-35 სისქით 18 სმ
- ღორღი ვრცადვითი (ვრ.0-40) მმ სისქით 20 სმ
- ქვიშა-ხრქმუკანი ნარევი (ვრ.0-70) სისქით 50 სმ
- გეოტექსტილი TERRAM 2000
- ქვიშა-ხრქმუკანი ნარევი (ვრ.0-125) სისქით 20 სმ
- ქვიშის შენა სისქით 50 სმ

ავტოსადგომი დენდროლოგიური პარკის მიმდებარედ დაბა შეკვეთილში. მუშა პროექტი	შემსრულებელი: შპს „ავტოგზაპროექტი“	ავტოსადგომის გეოპროექტი			
		საგზაო სამონტაჟო			
		შპს „ავტოგზაპროექტი“	ფურცლის ზომა A-3	ნახ. №3	ფურც.1

ბეჭდონის საზარის ნაკვერძის სქემა (პარკინგი)



შპს "საქსტელკომ":

1. გვეტონის საზარის ეწეობა სინქროთ 20 სმ.


<p>ღაბა შეკვეთილში ღენდროლოგიური პარკის მიმღებარე ავტოსაღზომის კრემქტი</p>	<p>შემსრულებელი: შპს „ავტოზაპროექტი“</p>	<p>ბეტონის საფარის ნაკერების სქემა</p>			
			<p>ფურცლის ზომა A-3</p>	<p>ნახ. №4</p>	<p>ფურც.-1</p>

856 N°1


მასშტაბი 1:200

Scale 1:200

საპროექტო მოწინავემეზო	ქანობი %, მანძილი, მ Slope, %, Distance, m
Design Data	მოწინავე, მ Elevation, m
ვაქტორი მოწინავემეზო	მოწინავე, მ Elevation, m
Existing Data	მანძილი, მ Distance, m




856 №2




<p>დაბა შემკვეთილში დენდროლოგიური პარკის მიმდებარე ავტოსადგომის პროექტი</p>	<p>შემსრულებელი: შპს „ავტოგზაპროექტი“</p>	ვერტიკალური გეგმარება			
		ბანივი ჰრილები			
			ფურცლის ზომა A-3	ნახ. №5	ფურც. №1

გან №5




გან №6




დაბა შიკვეთილში დენდროლოგიური პარკის მიმდებარე ავტოსადგომის პროექტი	შემსრულებელი: შპს „ავტოგზაპროექტი“	ვერტიკალური გეგმარება			
		ბანივი ჭრილები			
			ფურცლის ზომა A-3	ნახ. №5	ფურც. №3

გან №7



გან №8



დაბა შეკვეთილში დენდროლოგიური პარკის მიმდებარე ავტოსადგომის პროექტი	შემსრულებელი: შპს „ავტოგზაპროექტი“	ვერტიკალური გეგმარება		
		ბანოვი ჭრილები		
		უპრცლის ზომა A-3	ნახ. №5	ფურც. №4